# ნიანგი

6

გამოცემის 53-ე წელი, (№ 1472). მარტი. 1976. ფასი 20 კაპიკი.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. მ. აბაშიძისა

— აი, ბავშვი მეკითხება, რას შვრებიანო! რა ვუთხრა?!
— უთხარი რამე!
— შენ უთხარი, თუ ასე ადვილია!

ნიანგის ტრიბუნა

# თვალები აქ ვუჭყიტავ, ბიძია!

თბილისში, კუს ტბის ფერდობზე, სოფლურ დასახლებას მოვკარი თვალი და სიხარულით გული ამიჩქროლდა. დავჯექი ტაქსში და იქ გავჩნდი. გზადაგზა შოფერმა მიამბო, ღია ცის ქვეშ მუზეუმს აშენებენ აგერ ათ წელზე მეტია და, არ დაადგა საშველი, ძველი საქართველო უნდა იყოს, მამაპაპური სახლ-კარითა და ეზოებითო. აშენდა მისი ოჯახი, ვინც ეს მოიფიქრა! დღევანდელ სოფელს ვეღარ იცნობთ, ბიძია! ხალხი მოღონიერდა და მისდგნენ ძველების ნაამაგარს, ისეთი წაბლის ოდები და ალაყაფის ჭიშკრები დაანგრიეს, მათი გამკეთებელი საფლავში გადაბრუნდებოდა.. წამოჭიმეს უშველებელი სასახლეები, იმდენი ოთახი აქვთ, წელიწადში ერთხელ არ მოუწევთ შესვლა. ღობე-ყორეს ვიღა კადრულობს, ეზოს რკინა-ბეტონის გალავნები შემოავლეს, ისე არიან გამაგრებულ-ჩასანგრებულები, თითქოს აღამაჰმადხანობას ხელახლა ელიან. დიახ, ბატონო, დიახ, ზოგიერთმა იოლად გამდიდრებულმა ჩვენი სოფელი ნამდვილად დაამახინჯა. ჰოდა, ძალიანი საქმე დაუწყიათ ამ თბილისში! აქ, მუზეუმში, მაინც შევინახოთ ქართული სოფლის მოხდენილობა და სილამაზე!..

მივადექი მუზეუმის ჭიშკარს და ბევრად ვერაფრად მეჭაშნიკა. გორდიდან დადიანისეული ჭიშკრის ბოძები ჩამოუტანიათ, არ ჰგავს ჩვენებურს, რაღაც ევროპულად ნაწვალებია. შე კაცო, რა გაგიჭირდათ ამის ფასი? ისინი დადიანების ისტორიის უტყვ მოწმედ ადგილზე დაგეცვათ!... ჰოდა, თუ ძველქართული ჭიშკარი ვერსად შეიგულეთ, იმერეთში კიდევ აკეთებენ მთლიანი ქვის კოხტა ბოძებიან ჭიშკრებს ...

აგერ რო სახლია ახალი აშენებული, თვალები გეტკინება: მოჩუქურთმებული სვეტები ქართულია — ქრისტიანული, თვითონ სახლი ყალბი სამშვენისებით მოურთავთ, აი, ისე არმად გამდიდრებულ-გასუქებული კაცი თავის სასახლეს რომ გულისამრევად მოკაზმავს და ააყვირებს: მე ვარ და ჩემი ნაბადიო! თურმე ეს უსახური შენობა მუზეუმის დირექციისათვის აუშენებიათ! ჩემი გლეხური ჭკუით, კარგიც რომ იყოს, ადმინისტრაციული ნაგებობა საჩვენებელ კარ-მიდამოებში შეჭრილი მაინც არ ვარგა!

დიდი სწავლა-განათლება არ მიმიღია, მარა ავს და კარგს, ჯერჯერობით, ვარჩევ. ისიც ვიცი, ასეთი მრავალფეროვანი მუზეუმის აშენება, ამგვარ რთულ ფართობზე ძლიერ თავსატეხია. ძველი საქართველოს ასახვა ძნელია, ბატონო, ძნელი! ცოდვა გამხელილი ჯობია და ადგილიც არ არის მაინცდამაინც მოხერხებულად შერჩეული. იმაშიც გეთანხმებით, გაკეთებულის დაწუნება ადვილია, მაგრამ საქმე დაწყება კი არა, ბოლომდე მიყვანაა! ჰოდა, რადგან დაიდეთ მძიმე უღელი, თქვე მამაცხონებულებო, კეთილი ინებეთ და თავს მეტი ძალა დაატანეთ! შენჩემობიას ჯობს, სხვები დაიხმაროთ, ერთი-ორი კაცი ამხელა ამბავს ვერ მოერევა, ვერ აუვა! ხალხს უნდა დაეკითხოთ, ბიძი, ხალხს!

ჩვენებური გლეხი, ბატონო, თუ არ სჭირდებოდა, ეზოში სარს არ დაასობდა. ამ თქვენს მუზეუმში ერთი თვალის გადავლებით შევნიშნე, რომ ბევრი რამაა ზედნეტი. ხარჯს რომ თავი დავანებოთ, მეცნიერულ პასუხისმგებლობას სადღა წაუვალთ?! ჯერ ერთი, საქართველოს არც ერთი კუთხე უშუალოდ ერთმანეთში არსად გადადის. ამოსასუნთქი რაღაცა საზღვარი მაინცაა. ეს აქ არ იგრძნობა. ნაგებობანიც დასავლეთ საქართველოსათვის გაუმართლებელი სიმჭიდროვითაა მიჯრილი. აგერ „გურია“ მოვინახულოთ: სახლი, სამზადი, ხულა, ხალია გაბუტულებივით ზურგშექცეულები დგანან, მაშინ, როდესაც მოსახლისათვის არსებითი იყო მათი ისე შეთანაწყობა, რომ მოხერხებულად მისადგომი ყოფილიყო. ნაგებობათა გამოყენების თვალსაზრისით განლაგება თავისთავად იძლეოდა გარეგნულ სრულყოფასა და მოხდენილობას. ამიტომ იყო ჩვენი სოფლები ისე თავისებური და ისე მშვენიერი. დღეს, სამწუხაროდ, იკარგება სოფლის უბრალოება, სისადავე, საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული, დასახლების განუმეორებელი სტილი. მოჯგუფალა ზედმეტობა; ფუფუნება და, ვაი, ჩვენი ბრალი, რომ ძველი საქართველოს ამსახველ ღია ცის ქვეშ მუზეუმშიც ეს სულისკვეთება ტრიალებს!

არც „სამეგრელოა“ უკეთეს დღეში: ერთი სამზადი უკუღმა დაუდგამთ: თვალებს არ დავუჯერე, ასჯერ შემოვუარე, მარა მაინც უკუღმაა და მაინც. იმის ნაცვლად, რომ უნებლიედ დაშვებული შეცდომა გამოესწორებინათ და ეს შენობა წალმა დაედგათ, ამდგარან და უკანა კედელში კარი გაუჭრიათ, ვითომ უკუღმა წალმა გამოვაო და ქე დაუტოვებიათ ასე. კი, ბატონო, მე არაფერს ვიტყვი, მაგრამ დამთვალიერებელი რომ მოვა, იმას რაღა პასუხს გასცემთ?! უკუღმას წალმად რანაირად მოაჩვენებთ?!

„იმერეთი“ ხომ მთლად მოგისპიათ! ერთ კარ-მიდამოში ორი სახლ-სამზადი რატომ დგას?! სხვა შენობებსაც არ ეტყობათ ხალხური სიცოცხლე!.. აფსუს, იმერეთო, კოპწია კარ-მიდამოებითა და ოდებით თავმოწონებულო იმერეთო! ჩვენ რა ვქნათ? ადგილის ბრალიაო, იტყვით! არა, თქვენი ჭირიმე, არა, შორს ნუ წახვალთ, აგერ რიკოთს გადაღმა ხეფნიხევსა და ნადაბურში ჩაბრძანდით და ნახეთ ხელოვნურად დატერასებულ ფერდობებზე, კლდე-ხრიოკებზე ჩაქარგულ-ჩაჭიკჭიკებული კარ-მიდამოები და ერთხელ კიდევ იწამეთ ქართველი გლეხის, დიდი ილია რომ იტყოდა, უძველესი მკვიდრისა და შეუდარებელი მიწათმოქმედის მაღალი კულტურა, კარ-მიდამოთა მოწყობის, სახლთა, „ნამშრალთა“ განლაგება-აშენების სწორუპოვარი ხელოვნება! თქვენ, თქვენ რა ღმერთი გაგიწყრათ, ნასწავლო ხალხო?! იქ, იმერეთში, შეგერჩიათ რომელიმე მოხდენილი კარ-მიდამო და მისი სახე მუზეუმში გადმოგეღოთ! მე ვინ მკითხავს, მარა აქ რაც გაგიკეთებიათ, ჩემი აზრით, რაც მართალია, მართალია, დასაწუნია!

ვაი, შენ ჩემო თავო! ახლა „ქართლ-კახეთში“ რა ამბავია! იმაზე არაფერს ვამბობ, „მესხეთ-ჯავახეთის“ თავზე ჩვენი ხავრიელი დედა და ვაკექვეყანა კახეთი როგორ წამოუსკუპებიათ. ასე თუ მივყვით, „რაჭის“ თავზე „აჭარას“ რა უნდა?! „აჭარის“ თავზე — „აფხაზეთს“?! მაგრამ თავისმართლება აქაც შეიძლება: ერთი ფერდობია და რა ვქნათო! თუმცა ამ მცირე ქედის გააზრება დიდ კავკასიონად შეიძლებოდა და მისი მიხედვით საქართველოს კუთხეთა განლაგება უფრო ადვილი და სინამდვილესთან მიახლოებული იქნებოდა. ეხ, ახლა უკვე გვიანაა: ადგილობრივი ვიწრო ხეობები თანამედროვე, ფართო გზებით გადაიჭრა, გარემომ ამით ბუნებრიობა დაკარგა და მუზეუმის მშენებლები თავიანთი გაყვანილი გზების ტყვეობაში მოექცნენ. ეე, ძნელი საქმეა, ძნელი... მესხური დარბაზის თავზე რომ დაცოდვილებული გუმბათიანი სახლია წამოჭიმული, კახურადაა გასაღებული, ქვევით „ქართლში“, მიწის ზედაპირზე, ერთი დარბაზია, მუსულმანის ქუდივით იმასაც რაღაც გუმბათი ახურავს!.. ვაითუ, ასე დატოვონ! მის ხელმარჯვნივ ბანიანი სახლი დაუდგამთ, წინა ნაწილი საცხოვრებელია, უკანა — მარანი. გლეხი კაცი ვარ და გამიკვირდა: მარანს კარი არა აქვს! კაი, ბატონო, ყურძენს საწნახელში სარკმლიდან ჩაყრიან, მარა მთელი სახლის გავლით მარანში რატომ უნდა იარონ, ვერაფრით ამიხსნია. ვთქვათ, ასე იყო, დაგიჯერებთ, ოღონდ მილიონი მნახველი რომ მოვა, იმას რაღას ეუბნებით?!

ერთიც საწყენია: ბანიანი სახლი და დარბაზები ფისითა და „ტოლით“ გადაგიხურავთ! როგორც მითხრეს, წყალი მაინც ვერ გაგიჩერებიათ, ჩვენი მამა-პაპა საგანგებოდ შერჩეული თიხით ტკეპნიდა ბანს და წყალგაუმტარს ხდიდა. ფერეიდნიდან ჩამოსახლებულმა ქართველებმა მიამბეს, მათ ძველებს იქ, შორეულ ფერეიდანში, მიუგნიათ ქართულის მსგავსი ბანის მოსატკეპნი თიხისათვის! თქვენ რაღა გაგიჭირდათ?! მუზეუმი თუ ჰქვია და ძველი საქართველოს ასახვა გინდათ, კეთილი ინებეთ და ისე, იმ წესების დაცვით აშენეთ, როგორც ჩვენი წინაპრები აშენებდნენ! აბა, რას ჰგავს, იმერულ სახლებს ცალფად ყავარი რომ დაახურეთ და ძვირფასი კედლები ლპება?! მართლა, მავიწყდებოდა, ამ ხის სახლებსა და ნივთებს შეწამვლა-გამაგრება არ სჭირდებოდა? ამ მდგომარეობაში როდემდე გაძლებს? ე დანასისხლად ნაყიდი საწნახლები, ურმები, სახვნელ-გუთნები და სხვა მისთანანი ღია ცის ქვეშ რომაა, არ გენანებათ?! ამათ ხომ საუკუნეებს უნდა გაუძლონ?! სიონის ტაძართან საფლავის ქვები ისე მიგიყრიათ, თითქოს ბულდოზერს გადაევლოს. იმ ქვის კუბოს რას ერჩით, უძველესი ქართული წარწერა რომ ამშვენებს? აფსუსია, ქარ-წვიმა და მზე ღრღნის. შლის!.. მგონი, თხუთმეტი საუკუნე იყო ბოლნისის ისტორიულ მიწაში, თხრილის გაყვანის დროს ტრაქტორმა ამოაგდო, თქვენ გადასარჩენად, დასაცავად ჩამოიტანეთ და აქ, ბალახებში, ცაწმინდას ქვეშ დადევით, ბარე ხუთი წელიწადი იქნება.

გავიკითხე და გავიგე: კავკასიაში ღია ცის ქვეშ მუზეუმის მშენებლობა პირველად ჩვენ დაგვიწყია! იქნებ, იმიტომ ვერ ვაბამთ საქმეს თავს?! მაგრამ, უცხოეთს თავი რომ დავანებოთ, ბალტიისპირეთში ხომ აქვთ კარგად გამართული მუზეუმები ღია ცის ქვეშ? ახლა კიევში დაუწყიათ და ისეთი გაქანებით მუშაობენ, თურმე ჩვენ მოგვასწრებენ! ქართველებს ერთი უხეირო ზნე გვჭირს: საქმის დაწყება ყველაზე ადრე და ადვილად ვიცით, მაგრამ ბოლომდე მიყვანისა რა მოგახსენოთ!..

ესე გულდამწვარი




„ცსს: ვინ ვის უთვალთვალებს?“ — ასეთი ანშლაგით გამოვიდა ჟურნალი „ნიუს უიკი“, რომელმაც დიდი ადგილი დაუთმო როკფელერის კომისიის მოხსენებას.

## ჯაუუშური აისბერგი

ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ანტიკონსტიტუციურმა ოპერაციებმა, რომლებიც ტოტალურ ჯაშუშობად იქცნენ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც, გამოიწვია ამერიკელი მოსახლეობისა და ყოველი პატიოსანი ადამიანის სამართლიანი გულისწყრომა. საზოგადოებრიობის დაბეჯითებითი მოთხოვნით შეიქმნა სპეციალური კომისია ნელსონ როკფელერის ხელმძღვანელობით, რომელიც 6 თვის განმავლობაში სწავლობდა ცსს-ს „მოღვაწეობას“. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტისათვის წარდგენილ მოხსენებაში კომისიამ დუმილით აუარა გვერდი ისეთ „ჭუჭყიან ოპერაციებს“, როგორიცაა შეთქმულებები უცხოელ მოღვაწეთა მკვლელობის მიზნით, უცხო სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში უხეში ჩარევა და ა. შ.. ბურჟუაზიული ყოველკვირეული „ნიუს უიკიც“ იძულებულია აღიაროს, რომ კომისიამ მხოლოდ ამ გიგანტური შპიონაჟის ზედაპირს გადაავლო თვალი, ხოლო ცხრა მეათედი თვალთაგან უხილავი დატოვა...

— „ყოველი დღე საზარელ ამბებს ხდიდა ფარდას“, — განაცხადა კომისიის ერთ-ერთმა წევრმა. მოეწყო მკვლელობის რამოდენიმე ოპერაცია, ფიდელ კასტროს, ტრუხილიოს, პატრის ლუმუმბასა და სხვა სახელმწიფო მოღვაწეთა ფიზიკურად გასანადგურებლად. უმეტესი კი ცსს-მ განახორციელა... ფიდელ კასტროს მოსაკლავად ჩატარებული ოპერაცია რამდენიმეჯერ ჩაიშალა (ამ ამბავმა შემდეგში ფართო რეზონანსი ჰპოვა!) ჭეშმარიტების დასადგენად კომისიას სამი-ოთხი თვე კიდევ დასჭირდებოდა, მაგრამ, როგორც ისევ კომისიის ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა „აღარავის უნდოდა ამ უსუფთაობის ქექვა“. ხოლო პრეზიდენტი ფორდი სთხოვდა კომისიას გამოეჩინა „მაქსიმალური კეთილგონიერება...“

კომისიამ გამოიჩინა ეს „კეთილგონიერება“. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ცხრა მეათედი განაგრძობს თავის შავბნელ საქმიანობას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. გ. ფირცხალავასი

— ამან უნდა დაიტრაბახოს, გაგუა მყავდაო: სიცოცხლეში ჰერი დაახურა, გადასახურავით კი მანქანა უყიდა!

## ცნობა

**ცნობა** ადამიანს სჭირდება დაბადებამდეც!.. დიახ, ექიმმა თუ არ გასცა ცნობა, რომ შენ შვიდი თვისა ხარ, დეკრეტული შვებულება არ გაფორმდება!..

ცნობა გინდა აგრეთვე დაბადებისთანავე!.. წინააღმდეგ შემთხვევაში, აო გექნება დაბადების მოწმობა!..

ცნობები საჭიროა მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ყოველი ფეხის გადადგმაზე, გაუთავებლად, დაუსრულებლად!..

და, ბოლოს, ყველა ცნობის წერტილის დამსმელი — გარდაცვალების ცნობა!..

...სტუდენტმა წარმოადგინა ცნობა, რომ ის მუშაობს ამა და ამ ადგილზე. დირექტორს ეჭვი ეპარება და ამოწმებს ცნობის სინამდვილეს.

რატომ?

იმიტომ, რომ, როგორც ყველასათვის ცნობილია, ცნობა შეიძლება იყოს ნამდვილი და ყალბი!..

ყალბი ცნობები, თავის მხრივ, იყოფა ორ ნაწილად: ნახევრადყალბი და მთლადყალბი.

ყალბი ცნობების მაგალითი უამრავია: ახალგაზრდას, რომელსაც მშობლები არჩენენ, აქვს ცნობა, რომ დედა-მამა მის კმაყოფაზეა.

ან: კაცს ავადმყოფობა არა აქვს, მაგრამ აქვს ცნობა, რომ ის დაავადებულია სასუნთქი გზების კატარით.

ან: ვიღაცა კიევის ბაზარში ყიდის მანდარინს და ხელზე აქვს ცნობა, რომ მანდარინი ნამდვილად საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთშია მოკრეფილი!..

ზოგს ძალიან უყვარს ცნობების შეგროვება. ათი ცნობა რომ ჰქონდეს, მაინც არაა კმაყოფილი და კიდევ ეძებს. რად უნდა?

უნდა!..

გიგლა გახტაძე

# გაწნეხილი თანხები

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მაშ, ასე: სტარტი აღებულია! მეათე ხუთწლედს თავის ბარაქიან საჭურჭლეში უხვად აქვს ჯილდოები, რომლებიც გადაეცემათ ყველაზე გამრჯეებს, ყველაზე საზრიანებს, ყველაზე პატიოსნებს!..**
**არ უნდა დაიკარგოს არც ერთი წამი, კაპიკი, მარცვალი, კომბაინმა მეტი უნდა მომკას, ტრაქტორმა მეტი უნდა მოხნას, დაზგამ მეტი უნდა გამოუშვას და ყოველივე ეს უნდა იყოს მაღალი ხარისხისა! სამართლიანი და მკაცრია ხუთწლედის არბიტრაჟი!**

1968 წელს **თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხანამ** ძვირფასი ნობათი მიიღო: უამრავ ყუთში განლაგებული იყო 315 ტონის სიმძლავრის წნეხი, რომელიც სრულყოფას, ანუ, ტექნიკური ენით რომ ვთქვათ, დამონტაჟებას ელოდა.

„ძვირფასი ნობათი" 64.787 მანეთად გახლდათ შეფასებული!

დამონტაჟება 1970 წლამდე გაგრძელდა და წნეხმა კიდევ უფრო მოიმატა ფასი. ქარხნის ეზოში აღიმართა ვეებერთელა ინდუსტრიული ლამაზმანი. სულ ცოტა ხანში გოლიათმა წნეხმა ფეხები შენობის პირველ სართულზე დადგა. თავი მეორე სართულის ჭერს მიაბჯინა და რკინის ხახაში მშენებლობის თანხებიც ერთ ყლუპად გადაუშვა!..



ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ახვნეშდა, აქოთქოთდა წნეხი და დაიწყო თხევადი გაზის ბალონების ძირების ტვიფრისა და კასრების ძირების გამოჭრა. იგი მუშაობდა ერთგულად, დაუღალავად, ხელისგულზე ერბო-კვერცხს იწვავდა და ამაგს იხდიდა.

1975 წლის დადგომისთანავე გადაწყდა: თხევადი გაზის ბალონები უნდა დაემზადებინა **ცხინვალის მექანიკურ ქარხანას,** ხოლო ლითონის კასრები — **ზუგდიდის სამრეწველო კომბინატს.**

დადუმდა წნეხი, სიცოცხლის ყოველგვარი ნიშანწყალი დაკარგა და იქცა უყაირათობის, მოუქნელობისა და დაუდევრობის სიმბოლოდ!..

ოთხკედელშუა მოქცეული წნეხი ამაოდ იკავებდა უზარმაზარ ფართს, ამიტომაც განაჩენი უმალვე იქნა გამოტანილი: გაეგდოთ გარეთ, როგორც უსაქმური და მუქთახორა.

დატრიალდა დაახლოებით ისეთი ისტორია, როგორც ქვევრში შესაკეთებლად შემძვრალი კაცისა, რომელიც შიგ გატეხილი ადგილიდან შევიდა, ხოლო, შეკეთების შემდეგ, გარეთ ვერაფრით მოახერხა გამოსვლა — წნეხი ვერ გამოეტია თავისი ყოფილი ბინიდან.

გაჩნდა ახალი თავსატეხი: წნეხი ფართს უსარგებლოდ იკავებს. ამიტომ საჭიროა მისი იქიდან გამოტანა, მაგრამ ვერ გამოეტევა, მაშასადამე, ფართი დაიკარგება! თუ გამოიტანენ, შენობა უნდა დაინგრეს! თუ შენობა დაინგრევა, ფართი, თავისთავად, ისევ დაიკარგება!

ამუშავდა ჩიხში მომწყვდეული გონება და გამოსავალი მონახა. დაშალონ წნეხი და ნაწილ-ნაწილ გამოიტანონ შენობიდან. დაალოისევ თავისი გაუმაძღარი რკინის ხახა წნეხმა და რვა ათასი მანეთი მოითხოვა დაშლისათვის.

ჩაფიქრდნენ: ჩამოტანა ფული დაჯდა, აწყობა ფული დაჯდა (თუმცა, რამდენი, ქარხნის ხელმძღვანელობამ დღემდე ვერ გაარკვია!) მისთვის ბინის აშენება უფულოდ არ მომხდარა. დაშლაში ისევ ფულია საჭირო, გატანასაც ხომ ფული უნდა?! თუ დაშლაში რვა ათასი მანეთი მოითხოვეს, აწყობაში გაცილებით მეტი იქნება საჭირო, რადგან დანგრევა აშენებაზე უფრო ადვილია.

რა გულმოდგინებით, რა გაბედულად, რა ხელგაშლილად იყრება წყალში სახელმწიფო ფულები!..

ალბათ, ბევრს აწუხებს ეს ამბავი, თუმცა... **ქარხნის მთავარ ინჟინერს — არჩილ იასონის ძე ხომასურიძეს** რომ ჩამოვუგდეთ ლაპარაკი ამის შესახებ, მან საოცარი გულგრილობით, პილატესავით გადაიბანა ხელი:

— ეგ არც მე მეხება და არც დირექტორს! ჩვენ ორივენი ახალი მოსულები ვართ, წნეხი კი ჩვენამდე მოიტანეს!..

ვინ უწყის, რამდენი საქმე გაფუჭებულა გულგრილობითა და ხელის ასე გადაბანით!..

**სამწუხაროდ, თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხანა ერთადერთი არაა, სადაც უქმად ცდება ტექნიკა! მსგავსი მაგალითი უამრავია! ნიანგი მომავალში იმათაც მოინახულებს! აუცილებლად მოინახულებს!**

**ჟანი სიხარულიძე,**
**გარი მეტრეველი.**

---

**დისციპლინა** და მომთხოვნელობა. კვლავ რჩება მომენტის ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნად. ამასთან უნდა ვებრძოლოთ, როგორც ეს სრულიად სამართლიანად ითქვა თბილისის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე, ეგრეთ წოდებულ მომუშავე მუქთახორებს, ე. ი. ადამიანებს, რომლებსაც უკავიათ თანამდებობა, ადგილი სახალხო მეურნეობაში, იღებენ ხელფასს, მაგრამ არავითარ ფასეულობებს არ ქმნიან.

**საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მასალებიდან**




მომუშავე მუქთახორა

## გადაკრული საუბარი

— რას შვრება შენი გადარეული ქმარი? წერტილს არ სვამს კიდევ?
— კი, წერტილსას სვამს ისევ!
— სახლში როგორ იქცევა?
— სახლშიც იქცევა და კიბეზეც!
— პატივს თუ გცემს?
— კი მცემს, ყოველდღე მცემს!...
— შენ?
— მეც ვცემ, აბა არ ვცემ?
— დედამთილი თუ გეხმარება?
— იშვიათად.
— პატივი ეცი, შვილო, უფროსი ადამიანია!
— ვცემ, დედიკო, არც მას აკლია ჩემი ხელი!
— მის საქმეში ერევი?
— ხან ვერევი, ხან ვერა.
— მასე, შვილო! უნდა გაუმართოთ ხელი ერთმანეთს, სხვანაირად არ იქნება, ახალი ოჯახია!

**ტ. ნიკოლოზიძე**

ნახ. მ. აბაშიძისა





„თვითპრიტიკა“

# ჰე, მტკვარო, მტკნარო!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

**„ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი, მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!“** — უთქვამს დიდ პოეტს.

ჩვენ, კი მისი შთამომავალნი „ფიქრთ გასართველად“ კი არა, ჩამაფიქრებლად ვამბობთ:

კიდევ კარგი, რომ, მტკვარო, უტყვი ხარ, თორემ ისეთი შავი დღე და ფერი გადგას, ისე ხარ დაშხამულ-დაბოღმილი, დანაგვიანებული, ენა რომ ამოიდგა, კი არ იბუტბუტებ, არამედ იღრიალებ, „მიშველეთო!“

და, აი, ჩვენც გვინდა, რომ გიშველოთ, შენი მტკნარობა აღვიდგინოთ, შენი სიმდიდრე — „ცოცხალი“ — ვასხმარტალოთ! სამწუხაროდ, ჯერჯეროობით, ვერ გიშველეთ: გამტკნარების მაგივრად, კვლავ შეფერილი მოედინები!..

ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა გიხსნათ ბრაკონიერებისაგან, — აღჭურვილები რომ არიან მეოცე საუკუნის თევზჭერის ტექნიკური იარაღებით!.. მტკვარი კი ჩაშხამებული ბუტბუტებს: შეისმინეთ, ვახუშტი რას ამბობდა:

**„არს მტკვარი სასმელად გემოიანი და შემრგო“.**

**„გარნა კიდეთა მტკვრისათა ამიერ და იმიერ კლდენი ქარაფოვანი, უმეტეს ადგილთა ჭალიანი, ბალახიანი, ჩალიანი, ნადირიანი, ფრინველიანი. ზის მას შინა თევზნი მრავალნი და გემოიანნი. რომელსა იპყრობენ ბადით, კონით, ფაცრით, ნემსკავით, საფიჩხულითა და ოჩხით. უამაც იპყრობისცა ზუთხი, რამეთუ განჯის ქვემორ არს ამ მდინარესა შინა ურიცხვ“.**

აუჰ... რა ყოფილა ვახუშტის დროს მტკვარი!

მივცეთ თავს უფლება: ერთ წუთს წარმოვიდგინოთ, ვახუშტი აღსდგა და მტკვრის ხეობას აჰყვა, გადახედა და შეისწავლა. უდავოა, ის თავის ნათქვამს ასეთ რედაქციას გაუკეთებდა:

**„არს მტკვარი სასმელად უგემოიანი და ურგო“.**

**„გარნა კიდეთა მტკვრისათა ამიერ და იმიერ კლდენი ნაქარაფოვანი, უმეტეს ადგილთა ნაჭალოვანი, უბალახონი, უჩალოვანი, უნადირონი, უფრინველონი. ზის მას შინა თევზნი მცირენი და უგემოიანი, რომელსა იპყრობენ ქლორითა, ციანპლანითა, დინამიტითა, ელექტროდენითა და ბულდოზერითა, უამად იპყრობისცა ზუთხი უზომოდ მაღალფასოვანი ავლაბარსა შინა კერძოდა, რამეთუ განჯის ქვემორ არს ამ მდინარესა შინა ურიცხოდ მცირე...“**

კიდევ კარგი, რომ მეოცე საუკუნის მეცნიერების მიღწევები უძლურია გარდასულ ადამიანთა გასაცოცხლებლად, თორემ ვახუშტისათვის, რომელიც ახლანდელი მტკვრის ჭირსა და ვარამს ასეთი სიტყვებით აღიქვამდა, ინფარქტი გარდაუვალი იქნებოდა! ხოლო ტატო კი, თავისი ნაღვლიანი „ფიქრთ გასართველად“ მტკვრის ნაპირს ახლოს არასოდეს გაეკარებოდა!..

**ნოდარ კოჭლაშვილი**

ნახ. გ. ფირცხალავასი

— ჩემს მძღოლს ისე დავაყენებინე მანქანა, რომ სამსახურის დამთავრებამდე ვერც ერთი თანამშრომელი ვერ გაიპარება!

**სერგეი ვასილიევი**

## მნიშვნელოვანი აღმოჩენა

**ეპიგრამა**

ყველა კრებაზე იჯდა მდუმარედ,
ოღონდ უყვარდა თავის კანტური.
ყველამ იფიქრა:
არის ჭკვიანი,
თავდაჭერილი,
საქმით გართული!..
ცხოვრება ჩქეფდა...
და ერთხელ მხოლოდ
მან ორი სიტყვა
თქვა კრების ბოლოს!..
წამს მთელ დარბაზში
ის საიდუმლო
გამოუცნობი
იქცა ცნობილად...
და წასჩურჩულეს ერთმანეთს უმალ:
— ეს რა სულელი ვინმე ყოფილა!

**თარგმანი ვასილ ლაფერაშვილისა**

ნახ. ვ. კუციასი



ცეცხლმოკიდებული მწვანილი ცეცხლგამძლე სეიფში

# ა ნ დ რ ო  კ ა ნ დ ე ლ ა კ ი  60  წ ლ ი ს ა ა



ცნობილ ქართველ მხატვარ-კარიკატურისტს, საქართველოს სსრ დამსახურებულ მხატვარს — ა ნ დ რ ო  ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ს  ძ ე  კ ა ნ დ ე ლ ა კ ს — დაბადების 60 წლისთავი შეუსრულდა.

მისი პირველი ნახატი 1935 წელს დაიბეჭდა „ნიანგში“. მას შემდეგ ღვაწლმოსილი მხატვარი ჩვენი ჟურნალის ერთ-ერთი აქტიური და ნაყოფიერი თანამშრომელია. 1940 წელს მუშაობდა „ნიანგის“ მხატვრის თანამდებობაზე, საიდანაც გაიწვიეს დიდ სამამულო ომში. საბჭოთა არმიის რიგებში იმყოფებოდა 1946 წლის ბოლომდე.

სხვადასხვა დროს ა ნ დ რ ო  კ ა ნ დ ე ლ ა კ ი იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მულტფილმების სტუდიის მთავარი მხატვარი, გაზეთ „მოლოდოი სტალინეცის“ მხატვარი, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ ილუსტრაციის განყოფილების გამგე, თბილისის სამხატვრო აკადემიის უფროსი მასწავლებელი ამჟამად მუშაობს საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სარედაქციო ჯგუფის მხატვრად. არის სსრკ მხატვართა და ჟურნალისტთა კავშირების წევრი. თბილისსა და მოსკოვში გამოცემული აქვს ნახატი-კარიკატურების 2 ალბომი.

## „ნიანგი“ — ა. კანდელაკს!

სამოცი წლისთავს ვულოცავთ
დიდებულ ანდრო კანდელაკს —
შობილს ჭეშმარიტ ჯენტლმენად.
ვაჟკაც და სათნო ქართველად!
იუმორი და სატირა
ფურებში ანთო სანთელად!
ხიშტით და ფუნჯით იბრძოდა!..
წარსული ათოვს ნათელად!
კაცს, კანდელივით ბრწყინვალეს,
ყველგან ღიმილი მიჰყვება!
ანდროს სტუმრობით „ნიანგის“
სუყველა კარი იღება!
იუბილეზე კანდელაკს, —
ვინც მუდამ ლხენად ილვრება, —
ვუმღეროთ კანდელაკური —
ძველი სალხინო სიმღერა!

„ნიანგის“ დავალებით —

ზაურ ბოლქვაძე

მინდორში, გალახგულახში, თავს იწონებდა იაო,
თავს თავმჯდომარე წაადგა, — ერთი ზარმაცი ძიაო, —
ალერსით უსაყვედურა: სიმინდი რად არ გქვიაო?!
შენ არც გათოხნა გჭირდება, არც თესვის კამპანიაო!

„კავკასიური ცარცის წრე“.

## თავდასხმა

მუშტრის თვალით შემომხედა...

მერე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ყელში წამიჭირა თეთრი ნაჭერი... თვალები ლამის ვადმომცვივდა...

შემდეგ ერთი ხელი თავზე დამადო, მეორეთი ნიკაპს დაეჭიდა და ღონივრად ამომკრა... ყბა მომექცა...

დანა მოიმარჯვა, მეცა და მთელი ძალით დამისვა ლოყაზე... იფეთქა სისხლმა... მასზე ამას სულაც არ უმოქმედია... უმოწყალოდ მეორე მხარეზეც დამისვა...

ცხვირ-პირი საალდგომო კვერცხივით შემღება... მერე მდუღარე წყალი შემასხა სახეზე... სასტიკად ამეწვა და ავღრიალდი... ის კი იღიმებოდა კიდეც... ხოლო, როცა ბოთლით სახეზე რაღაც მყრალი და მწვავე სითხე შემასხურა, ვეღარ გავუძელი სასტიკ წამებას და ფეხზე წამოვვარდი... ის კვლავ ირონიულად იღიმებოდა და ხანდახან მრავალმნიშვნელოვნად დასცქეროდა ქვითარს, რომელიც მაგიდაზე იდო...

მას შემდეგ საპარიკმახეროს სალაროში ქვითარი აღარ შემიძენია...

მურად კერძევაძე

## ძეგლების ჩივილი

(მესტვირული)

„ვაი ქანდაკებულთა, რომელთა
არა აქვთ სული, ანუ სახე!“

ძველი აღთქმა

ჩამოვსულვართ შორიდან,
ენახეთ ყველა ალაგი;
უფრო დამშვენებულა
ჩვენი დედაქალაქი!

ქალაქს ამკობს ქანდაკი,
ტყეს — შუხა და ურთხელა,
მაგრამ გვიჭირს ყველა ხის
და ქანდაკის კურთხევა!

ხენეში ხე მოიჭრა,
შემად მაინც გამოდგა,
მდარე მეგლის სიკეთე
როგორ უნდა გამოვთქვა? —

აწოწილი უსაზმნოდ,
დაუძაბავს ძარღვები;
მალე ბაგეს მოწყდება
ბგერა — ყურის წამღები:

„ვაი! თუმცა მახარებს
სიახლე და შენება, —
ნუთუ, მე ვარ თბილისის
სახელი და მშვენება?“

იქით ვიღაც მოღვაწის
ისმის თითქოს კვნესაო:
„კვარცხლბეკიდან ჩამომსვით,
მე არა ვარ ესაო!

ნუთუ, დიდმა როდენმა
ლოდი ისე დაწურა, —
სული აღარ შემოგვრჩა, —
გავიმართოთ კაცურად?!“

ერთი ჩივის: „რას მარგებს,
თარიღები მიქარგო?
ცხენზე შემსვი, გავიქცე,
სადმე გადავიკარგო!“

მგოსანმა თქვა: „ვინ შემსვა
ასე მაღლა ქანდაკი?
ჩამიყვანეთ სარდაფში,
ნახეთ სადმე ხანდაკი!“

ქვა ღაღადებს: „ოსტატო,
არ მქონია ბედიო:
ვიდრე შემეხებოდი,
ვღირდი ბევრად მეტიო!“

მთელი ღამე მესმოდა
ამ ძეგლების ჩივილი...
სტვირზე დამიკვნესია
მათი გულის ტკივილი.

დაუფიქრდი, ოსტატო,
არ ამიკლო ამაზე:
თუ ბაძვაა, რაღა სხვებს? —
კლასიკოსებს წაბაძე!

საქმე არის მშვენების,
საქმე არის შეგნების:
მეგობარი არა ვარ
უსახური ძეგლების!

აკაკი გელოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ხულოს** რაიონის სოფ. ჭერიდან იწერებიან: ჩვენს სოფელს პატარა მდინარე — ხიხანის წყალი შუაზე ჰყოფს. გაზაფხულის მოსვლა ყველას უხარია, ჩვენ კი შიშის ზარსა გვცემს. გაღმა დარეკილი სკოლის ზარი გამოღმელ მოსწავლეებს სწავლის დაწყებას გვაუწყებს, მაგრამ ადიდებული მდინარე ახლოს არ გვიკარებს. ხიდი? სანამ მდინარე პატარაა, პატარა ხიდიც გვაქვს, აბობოქრდება მდინარე და პატარა ხიდს ჩაყლაპავს...

სად არ ვიყავით და ვის არ მივმართეთ! აჭარის ასსრ საგზაო სამმართველო ხულოს რაიონის საგზაო სამმართველოს უგზავნის წერილს, სამმართველო აღმასკომს უთანხმდება, აღმასკომი — აჭარის საგზაო სამმართველოს!.. ჩვენ კი ველოდებით გზას ან ხიდს!..

* * *

**ორჯონიკიძის** (ხარაგოულის) რაიონში კი არა, მთელს დუნიაზეა ცნობილი მდინარე ჩხერიმელა. ამ მდინარეზე, რკინიგზის ბაქანთან ახლოს, არის ხიდი. ხიდს ისე ვამბობთ, თორემ იგი ჯამბაზების სავარჯიშოდ გაჭიმულ ბაგირს უფრო წაგავს. ამ საკითხის გარშემო ერთხელაც შეგაწუხეთ. ძვირფასო ნიანგო! თქვენ კი გამოეხმაურეთ და რჩევა-დარიგებაც მოგვეცით: თუ ხიდი არ გაკეთდა, ჯამბაზთა სექცია ჩამოაყალიბეთო, მაგრამ ამანაც არ გვიშველა! რა ვქნათ, რა წყალში ჩავვარდეთ?!

— მანდ კიღაც ჯამბაზობს და ჩხერიმელას არ ჯადაჰყვეს!

* * *

**კასპის** რაიონის სოფ. კავთისხევის ახალგაზრდობამ საჭიდაო მოედანი მოვაწყვეთ მსაჯთა მაგიდითა და სკამებით. რაც მოჭიდავეები ვართ, იმ რაოდენობის მაყურებელს ძელსკამებიც გავითვალისწინეთ. მონდომება დიდი იყო და შედეგსაც არა უშავდა რა, მაგრამ სოფ. კავთისხევის სპორტსმენებმა, ს. ლოტოევამ, არავის არაფერი ჰკითხა, ცულით გამოვარდა და სიმწრის ოფლით მოწყობილი საჭიდაო არენა და სკამები, თავის მსაჯთა მაგიდიანად, ნაფოტებად აქცია!

— ეს რატომ ჩაიდინეთ, ქალბატონო სუსანა? — ეკითხებიან კავთისხეველი მოჭიდავეები.

— იმიტომ, რომ ჯერ სპორტშეო ბაღი ააშენეთ, ბავშვები აღზარდეთ და მერე იჭიდავეთ! — გვიპასუხა სუსანამ.

კი მაგრამ, ერთი მეორეს უშლის?

* * *

**ოჩამჩირის** რაიონის სოფ. მოქვის დასახლება „აბჟარის" მცხოვრებნი ორი მდინარის შუა ვდგავართ („ორ ცეცხლს შუა" ხომ გაგიგიათ, აა, თითქმის ისე!..). შევკარით ოთხი ხე ხიდის მაგიერ, ადიდდა მდინარე, წაიღო ჩვენს მიერ გაკეთებული ხიდი... ცურვა კარგი ვიცით, მაგრამ ზამთარში, ცოტა არ იყოს, გვცივა, ტანისამოსით ცურვა კი მაინცდამაინც სასიამოვნო არ გახლავთ. სკოლა და ჩაის ფაბრიკა მდინარის მეორე ნაპირზეა. გაჯიუტდება მდინარე, მოსწავლეები სკოლაში ვერ მიდიან, ჩვენ კი — ჩაის ფაბრიკაში. ექიმი ჩვენამდე ვერ მოდის, ფოსტალიონმა ცურვა არ იცის, გაზის მანქანა სათოფეზე არ გვეკარება და სტუმარი ხომ ფეხის წვერსაც არ ისველებს წყალში...

**მოისმინა ჟანი სიხარულიძემ**

ნახ. ვ. ფირცხალავასი



კლაგიატის ჰეგასი

## ვაი-მშვენებლის აღსარება

ქალაქსა თუ რაიონში,
ბევრი სახლი ამიგია!
არასოდეს ხარისხოვნად
პარკეტი არ დამიგია!

ჩემი ჩასმული ფანჯარა
მე თვითონ ვერ გამიღია!
სამშენებლო მასალები
სახლშიც ბევრჯერ წამიღია!

მუშახელიც ბევრი მყავდა —
ცოცხალი თუ მკვდარი სული,
იმათ ხელფასს მე ვიღებდი,
გაანათლოს მათი სული!

როცა ჯიბე გავისქელე
და სახელიც გამივარდა, —
შემამოწმეს, დამიჭირეს,
კოვზი ნაცარს ჩამივარდა!..

სულ იპოვეს, რაც დავმალე
მარანსა და ნალიაში,
რა ჩიტიც ვარ, მეგობრებო,
ვზივარ ისეთ გალიაში!

*ნიკოლოზ იოსებიძე*

# მოლა ნასრედინი ყვარელგაზში

**იქნებ**, არც დაგვიჯერონ ყვარელგაზისა და გურჯაანგაზის მესვეურებმა, თუ ვიტყვით, რომ მათ ორგანიზაციებში მოლა ნასრედინის ორეულმა მოიკალათა და ისეთივე სახუმარო ოინებით ერთობა, როგორც მისი სახელოვანი წინაპარი: წამოიღებს ეს თანამედროვე მოლა ყვარლიდან სოფელ ახალსოფელში თხევადი გაზის ბალონებს, გაასაღებს ჭანეთ და სამოც კაპიკად, დალოცავს, დაამწყალობლებს და, ჰოი, საკვირველებავ! — ნაყიდ გაზს ორ-სამ დღეში გამოსდის წირვა!..

პირველად ეს ოხუნჯობა ახალსოფელელებმა ჩვეულებრივ ხუმრობად მიიღეს, იცინეს, მაგრამ რა იცინეს, მაგრამ, როცა მსგავსი ხუმრობა რამდენჯერმე განმეორდა, მოლას ერთი ოხუნჯობა გაიხსენეს:

...ერთხელ მოლას ცოლი ფლავს ამზადებდა. სანუკვარი სასუნნავის მოლოდინში ნასრედინმა წასთვლიმა და, ნახა რა მისმა ცოლმა ჩაძინებული მეუღლე, მეზობლებს დაუძახა და უკვე გამზადებული ფლავით გაუმასპინძლდა. როდესაც მოლამ გაიღვიძა და მეუღლეს ფლავი მოსთხოვა, მან ფლავის მოპარვა კატას გადააბრალა. მოლამ კატა კუდით დაითრია. სასწორზე შეაგდო და, გამწარებულმა, ცოლს შესძახა: ეს თუ ფლავია, სადღა არის კატა და, თუ კატაა, ფლავი რაღა იქნაო.

მოლას მსგავსად, ახალსოფელელებმაც გაზით სავსე ბალონს ყურებში სტაცეს ხელი, სასწორზე შემოდეს და კილოგრამების მაჩვენებელს ეჭვიანად შეავლეს თვალი: იგი 23 კილოგრამს იწონიდა. სამი დღის შემდეგ ტიკივით დაცლილი ბალონი ისევ სასწორთან მიათრიეს, აწონეს და 17 კილოგრამს მისხალი არ დააკლდა (ე. ი. გაზის წონა, ნაცვლად 11 კილოგრამისა, 6 კილოგრამი აღმოჩნდა!) ამ მოულოდნელი აღმოჩენით გაკვირვებულმა ახალსოფელელებმა გვთხოვეს, ყვარელგაზისა და გურჯაანგაზის (ყვარლელები გაზის ბალონებით გურჯაანიდან მარაგდებიან) მესვეურებისათვის გადაგვეცა: თუ ეს გაზია, სადღა არის ბალონი? და თუ ბალონია, სადღაა გაზი?

ვ. კაბელიშვილი


**ნახატი თემების ავტორები:** ბ: ვ. ალაშიძე, ბ. ფირცხალავა, ბ. ლომაძე ვ. კუტია, ბ. თაუაძე.

**სარედაქციო კოლეგია:** ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე), ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, ბ. ლომაძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), ნ. ნიშნიანიძე, ბ. სიხარულიძე (პ/მ. მდივანი), ბ. ფირცხალავა, ო. ჯელიძე. ⊙ **სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი".** ⊙ **ტექნიკური რედაქტორი** ბ. კუხალაშვილი. ⊙ **თბილისი,** რუსთაველის პროსპექტი № 42, ⊙ **საქართველოს** ა ს ს-ის ბაგირთველოდა, ⊙ **ბადაცა** ასაწყობად 25/II-76 წ. ⊙ **ხელმოწერილია** დასაბეჭდად 18/III-76 წ. ⊙ **საქართველოს** ა ს ს-ის ბაგირთველოს სტამბა, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1. **საღრიცხვო-საგამომცემლო** თაბახი 1,6 ⊙ **საქართველოს** ა ს ს-ის ბაგირთველოს სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ⊙ **შეკვ.** 802. **უე** 00692. **ტირ.** 139.000. ⊙ **Тбилиси,** пр. Руставели № 42. Сатирико-юмористический журнал «Нианги». ⊙ **Издательство** ЦК КП Грузии. ⊙ **Типография** Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

**ტელეფონები:** 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. **რედაქციაში** შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

**მთავარი რედაქტორი**
**ზურაბ გეგეჭკორი**



ეროვნული ბიბლიოთეკა
236
76
31.III

**1890 წელს** პატარა სოფელ ვუნდიდ-ნიისთან მხეცურად გაჟლიტეს უიარაღო ინდიელთა ტომი სიუ. ვუნდიდ-ნიი დიდი ხანია გენოციდის სიმბოლოდ გადაიქცა, რომელსაც ამერიკის მთავრობა ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ ატარებდა.

ამჟამად პენტაგონის აპარატი ცდილობს, სულ სხვაგვარად წარმოადგინოს ეს ამბავი: ინდიელები თვითონ დაესხნენ თავს საბრალო, დაუცველ ამერიკელებს და ამიტომ გაჟლიტნენო. ამით პენტაგონი აიძულებს სენატს, უარი თქვას იმ კომპენსაციაზე, რომელსაც შტატები უხდიდა ვუნდიდ-ნიის მსხვერპლთა შთამომავლებს.

ნახ. გ. ლომიძისა

ისტორიის პენტაგონისეული კორექტივი